

შპს ჯეოგრეინი
ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს ჯეოგრეინი
ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019
	ა		
შემოსავალი	2	5 722 098 (4 982 570)	6 421 118 (5 227 084)
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		739 528	1 194 034
საერთო მოგება			
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	3	(556 001)	(517 237)
სხვა შემოსავალი		7 133	8 938
საოპერაციო მოგება		192 660	685 735
ფინანსური შემოსავალი			0
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან		(120 293)	(51 365)
პერიოდის მოგება		72 367	634 370
სხვა სრული შემოსავალი			
სრული შემოსავალი		72 367	634 370

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 21 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



ბაქარი მუმლაძე

შპს ჯეოგრეინი

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019	01.01.2019
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	335 966	490 617	458 468
სულ გრძელვადიანი აქტივები		335 966	490 617	458 468
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	5	1 345 542	1 067 857	1 480 741
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		141 285	149 558	409 150
გადახდილი ავანსები		16 482	44 013	
ფული და ფულის ექვივალენტები	6	19 837	90 608	44 759
სულ მიმდინარე აქტივები		1 523 146	1 352 036	1 934 650
სულ აქტივები		1 859 112	1 842 653	2 393 119
საკუთარი აქტივი და ვალდებულებები				
საკუთარი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	7	614 004	661 621	27 251
სულ საკუთარი კაპიტალი		614 004	661 621	27 251
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	8	853 753	998 374	886 416
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		853 753	998 374	886 416
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	391 355	182 658	1 479 452
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		391 355	185 658	1 479 452
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1 859 112	1 842 653	2 393 119

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ჯეოგრეინი (შემდგომში - „კომპანია“) საიდენტიფიკაციო კოდით 434165636, დაფუძნდა 2015 წელს, იურდიულ მისამართზე - საქართველო, მარნეულის რაიონი, სოფ. საიმერლო, დავით აღმაშენებლის ქ. N48

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ფქვილის წარმოება.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწარმოს დამფუძნებელ პარტნიორთა წილები:

მესაკუთრე	2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თემური შუბითიძე	50%
ბაქარი მუმლაძე	50%

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი, სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. აღნიშნული ანგარიშგება პირველად მომზადდა „მსს ფასს“ სტანდარტების შესაბამისად.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 2020 წლის კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე, იმის დაშვებით რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ განაგრძონ კომპანია. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

ბ) უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალური მოგებისა ან ზარალის ანგარიშებზე.

წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით, პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით. ფინანსური ინტრუმენტებიდან წარმოშობილი საკურსო მოგება და ზარალი წარდენილია სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალურ მოგება ან ზარალის სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ნეტო სიდიდით.

2020 წლის 31 დეკემბერს და 1 იანვარს უცხოური ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	დოლარი	ევრო
კურსი 2020 წლის 1 იანვარს 3.2095		2.8677
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233

შემოსავალი

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი ფასდაკლებით და მსგავსი ანარიცხებით.

ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა ან ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებიდან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანში აქტივად აღიარების კრიტერიუმს.

მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს, რომელიც ექვემდებარება მოგების გადასახდით დაბეგვრას. საქართველოს საგადასახდო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახდო ღირებულებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახდო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივ მეთოდს.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმიდა ანაზღაურების სხვაობით და ჩაითვლება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის სპეციალური დანშნულების ინდივიდუალურ ანგარიშგებაში.

საოპერაციო იჯარა

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწევა. კომპანიას საოპერაციო იჯარის ხელშეკრულება გაფორმებული აქვს სავაჭრო ცენტრებთან მაღაზიების ფართებზე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული არ არის ფართის გამოსყიდვის უფლება. შესაბამისად, კომპანიის მიერ გადახდილი იჯარის თანხა გამოიქვითება პერიოდის მოგება/ზარალში.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილის ნაშთის მეთოდით.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება, გუდვილის გარდა

ანგარიშების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი. ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს თავის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებს მაშინ, როდესაც ხდება ინსტრუმენტთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულების მხარე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება რეალური ღირებულებით. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას (მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გარდა). პირველადი აღიარებისას, შესაბამისად, ემატება ან

აკლდება ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური ვალდებულებების რეალურ ღირებულებას. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას, მაშინვე არის აღირებული მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები იყოფა შემდეგ კონკრეტულ კატეგორიებად: რეალური ღირებულებით შეფასებულ და მოგებაში ან ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად, დაფარვის ვადად ფლობილ ინვესტიციებად, გასაყიდად გამიზნულ ფინანსურ აქტივებად, და სესხებად და მოთხოვნებად. კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის ხასიათსა და მიზნობრიობაზე და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ყიდვა-გაყიდვის გარიგებების აღიარება ხდება გარიგების თარიღით აღრიცხვის მეშვეობით. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვის გარიგებები ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში. კომპანიას მიერ ფლობილი ფინანსური აქტივები მოიცავს ფულსა და ფულის ეკვივალენტებს და სვაჭრო და სხვა მოთხოვნებს.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი

ეფექტური საპროცენტო მეთოდი არის ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური ვალდებულებების კომპანიას) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდში გადანაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად აღისკონტებს მომავალში მისაღებ ან გადასახდელ სავარაუდო ფულად სახსრებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებას მოკლე პერიოდის განმავლობაში. ფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, გარდა მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული აქტივებისა.

ფული და ფულის ეკვივალენტი

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, ფულს გზაში, დეპოზიტებს და ფასიან ქაღალდებს. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან ცვლადი გადახდებით, რომელიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. სესხები და მოთხოვნები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვით.

2. შემოსავლები

შემოსავალი 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	5 671 184
შემოსავალი ექსპორტიდან	47 914
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	3 000
სულ	5 722 098

კომპანიას ახდენს ფქვილის წარმოებას და საბითუმო რეალიზაციას როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ასევე სომხეთში ექსპორტს.

ასევე კომპანიის მიერ განხორციელებული იქნა სატრანსპორტი მომსახურება.

	2020
არასაოპერაციო შემოსავალი	7 133
სულ	7 133

კომპანიამ ისარგებლა კოვიდპანდემიასთან დაკავშირებული შეღავათით საშემოსავლო გადასახადში, რამაც შეადგინა 7 133 ლარი.

3. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020
ხელფასის ხარჯი	211 480
ცვეთა და ამორტიზაცია	83 051
იჯარის ხარჯი	2 039

საპროცენტო ხარჯი	61 392
დამხმარე მასალების შეძენა	4 595
საბანკო ხარჯი	5 407
კომუნალური ხარჯი	5 836
დაზღვევა	335
საკონსულტაციო მომსახურება	12 123
რემონტი	105 853
სხვა ხარჯი	61 890
სულ	554 001

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	შენობა- ნაგებობები	დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა და ავტო	დაუმთავრებელ ი მშენებლობა	სატრანსპორტ ო საშუალებები	სულ
01.01.2020	131 539	116 740	16 267	8 891	290 883	564 320
შემოსვლა	15 029	33 923	2 550	6 138		57 640
გასვლა				15 029		15 029
31.12.2020	146 568	150 663	18 817	-	290 883	606 931
დაგროვილი ცვეთა						
01.01.2020	(7 425)	(15 112)	(2 256)		(48 910)	(73 703)
გასვლა						
პერიოდის ცვეთა	(23 632)	(37 640)	(3 536)		(132 454)	(197 262)
31.12.2020	(31 057)	(52 752)	(5 792)		(181 364)	(270 965)
ნარჩენი საბალანსო ღირებულებ						
31.12.2020	115 511	97 911	13 025	-	109 519	335 966

ძირითადი საშუალებების აღრიცხვაში დაშვებული იქნა შეცდომა, კერძოდ წლიური ცვეთის გაანგარიშების დროს პროგრამის ხარვეზის გამო ასახული იქნა ცვეთის შემცირებული ხარჯი. 2020 წელს მოხდა ძირითადი საშუალებების აღრიცხვის ბაზების შესწორება პროგრამაში და ცვეთის გაანგარიშება, რის შედეგადაც გაიზარდა დარიცხული ცვეთის ხარჯი და სხვაობა ასახული იქნა 2020 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.

5. მარაგები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის მარაგები მოიცავს ნედლეულს ფქვილის წარმოებისთვის და მზა პროდუქციას, რომელთა განაწილებაც 2020 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით შემდეგი სახითაა წარმოდგენილი:

	01.01.2019	31.12.2019
მარაგები		
ნედლეული	1 251 575	996 419
მზა პროდუქცია	93 967	71 438
სულ ფინანსური აქტივები	1 345 542	1 067 857

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2020 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	01.01.2019	31.12.2019
სავაჭრო მოთხოვნები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	141 285	149 558
გადახდილი ავანსები	16 482	44 013
სულ სავაჭრო მოთხოვნები	157 767	193 571

სავაჭრო მოთხოვნებში დაფიქსირებულია საქონლის რეალიზაციიდან მისაღები დებიტორული დავალიანება.

კომპანიას 01.01.2020 და 31.12.2020 მდგომარეობით უფიქსირდება უცხოელი მომწოდებლისთვის დანადგარის შესაძენად გადახდილი ავანსი და ასევე ადგილობრივი მომწოდებლისათვის მომსახურების მისაწოდებლად გადახდილი ავანსი.

6. ფული და ფული ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2020 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	01.01.2019	31.12.2019
ფული სალაროში	9007	6 335
ფული ბანკში	10 830	84 273
სულ	19 837	90 608

7. გაუნაწილებელი მოგება

გაუნაწილებელი მოგება კომპანიაში 2020 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
გაუნაწილებელი მოგება	614 004	661 621
სულ გაუნაწილებელი მოგება	614 004	661 621

N5 ძირითადი საშუალებების განმარტებით შენიშვნაში ასახული შეცდომით გამოწვეული იქნა გაუნაწილებელი მოგების შემცირება.

8. გრძელვადიანი სესხები

კომპანიას სს „თიბისი ბანკიდან“ აღებული აქვს გრძელვადიანი სესხები, რომელთან ნაშთებიც 2020 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით შემდეგი სახითაა წარმოდგენილი:

	31.12.2020	31.12.2019
სესხები სს „თიბისი ბანკიდან“	853 753	998 374
სულ	853 753	998 374

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2020 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
საგადასახადო ვალდებულებები	27 183	35 098
სავაჭრო ვალდებულებები		20 104
დამფუძნებლის მიერ შემოტანილი საბრუნავი კაპიტალი	364 172	127 456
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	391 355	182 658

დამფუძნებლის მიერ დაფუძნების მომენტიდან პერიოდულად ხდება საქმიანობისათვის აუცილებელი საბრუნავი კაპიტალის შემოტანა, რომლის გასტუმრება ხორციელდება კომპანიის მიერ მიღებული შემოსავლიდან.

10. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიას ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, ჯარიმები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი დარიცხული აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. სასაგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

დირექტორი

21.09.2021



ბაქარი მუმლაძე